ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის სდომა N 03

10.02. 2026 წ.

დ. ლენტეხი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის სდომა N 03

დ. ლენტეხი

10.02. 2026 წ.

დასწრების ფურცელი :

1. დათო ფურელიანი : /დ. ფურელიანი/
2. ირაკლი ქურასბედიანი: / ი.ქურასბედიანი/
3. კახა ლიპარტელიანი: /კ.ლიპარტელიანი/
4. ემზარ ქალდანი: /ე. ქალდანი /
5. გამზა ლიპარტელიანი: / გ. ლიპარტელიანი/
6. თემურ ლიპარტელიანი: / თ. ლიპარტელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის თავმჯდომარე: /დ. ფურელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის სდომა N 03

10. 02. 2026 წ.

დღის წესრიგი :

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი. პირების - ფერმერული მომსახურეობის, გარემოს დაცვის, საკონსულტაციო ცენტრის და კომუნალური მომსახურეობის 2026წლის გეგმა-პროგრამების პროექტების განხილვა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის სდომის

თავმჯდომარე: /დ. ფურელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო და ქონების მართვის და

ბუნებრივი რესურსების საკითხთა

გაერთიანებული სხდომა

ო ქ მ ი N3

დ. ლენტეხი 10.02. 2026.წ

მიმდინარე წლის 10 თებერვალს დღის 12 სთ-ზე ჩატარდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის გაერთიანებული სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ელდარ ლიპარტელიანი, ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით ფურელიანი; კომისიის წევრები: ხ. მუკბანიანი, ი. ქურასბედიანი, რ. გუჯეჯიან , კ. ლიპარტელიანი, ა. ქურასბედიანი, ე. ქალდანი, ნ. ბენდელიანი, გ ლიპარტელიანი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ქურასბედიანი, ა(ა)ი პირების ხელმძღვანელები.

კომისიის წევრებიდან (8 წევრიდან) სხდომას ესწრებოდნენ 6 წევრი. შესაბამისად სხდომა უფლებამოსილი შეუდგა მუშაობას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგით:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი პირების--- ფერმერული მომსახურეობის სერვის ცენტრის, კომუნალური მომსახურეობა და კეთილმოწყობის, გარემოს დაცვა და ეკოლოგიური განვითარების ცენტრის 2026 წლის გეგმა--პროგრამების პროექტების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

მოისმინეს; ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი პირების 2026 წლის გეგმა პროგრამების პროექტების განხილვა.

ფერმერული მომსახურეობის სერვის ცენტრის დირექტორმა წარმოადგინა 2026 წლის გეგმა-პროგრამის პროექტი . აღნიშნა რომ 2025 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 173,5 ათ. ლარს. მათ შორის ხელფასის ფონდი 170.49 ათ. ლარი, ოფისის ხარჯი 1,5 ათ. ლარი, სხვადასხვა ხარჯი 1,5 ათ. ლარი. მიმდინარე წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაზუსტება არ მომხდარა. მიმდინარე 2026 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 190.85 ათ. ლარით, აქედან შრომის ანაზღაურების ფონდი 190.11 ათ. ლარი. ოფისის ხარჯი 0.73 ათ. ლარი. შრომის ანაზღაურების მუხლში მიმდინარე წლის ბიუჯეტში გაორმაგებულ ხელფასების გაუქმებასთან დაკავშირებით მოხდა ორი პიროვნების განთავისუფლება და ჩანაცვლება იგივე რაოდენობის პიროვნებით.

ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დ. ფურელიანმა კითხვით მიმართა მომხსენებელს დასააქმებულ საშტატო ერთეულების და ხელშეკრულებების უფლება მოვალეობების შესახებ.

სერვის ცენტრის დირექტორმა მანიჟა ბენდელიანმა აღნიშნა, რომ სერვის ცენტრი ძირითადად დაკომპლექტებულია ვეტ-სპეციალისტებით, რომლებიც ტერიტორიულ ერთეულებში ახორციელებდნენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობას, მეპატრონის მიერ ცხოველის დაავადებასთან შეტყობინების შემთხვევაში, სპეციალისტების მიერ ხდება ავადმყოფი ცხოველის დათვალიერება და მეპატრონის თვითშესყიდვით შეძენილი წამლებით ცხოველის მკურნალობა.

გარემოს დაცვის და ეკოლოგიური განვითარების ცენტრის დირექტორმა - როინ თედორაძემ განსახილველად წარმოადგინა 2026 წლის გეგმა-პროგრამის პროექტი .

წინა წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია 26.0 ათ. ლარით შრომის ანაზარაურების მუხლში.

როინ თედორაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ძირითადი მიმართულება არის ნაგავსაყრელებისთვის გამოსაყოფი მიწის ნაკვეთის შერჩევა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტყის ფონდის დაცვა, მინერალური წყლების აღრიცხვა და მათი ლაბორატორიული შემოწმება, წყლის კალაპოტების ნარჩენებისგან დაცვა, მეწყერ-საშიში ეროზირებული ტერიტორიების აღრიცხვა, მათი ამოფხვრისათვის წინადადებების მომზადება, კომპეტენციის ფარგლებში ფლორა და ფაუნის დაცვა, ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფა. ცენტრს უფლება აქვს აწარმოოს დამხმარე სამეწარმეო საქმიანობა.

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრმა ხ. მუკბანიანმა კითხვით მიმართა როინ თედორაძეს რომ არის თუ არა საშუალება განვითარების ცენტრის წარმომადგენელი თემებში გყავდეთ მიმაგრებული ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამების უზრუნველსაყოფად. პასუხი იყო რომ ეს მთლიანად რაიონის ტერიტორიაზე და ყველა თემში პროგრამით გათვალისწინებული

უფლება-მოვალეობაა და შესაძლებლობის ფარგლებში ჩვენი მწირი ბიუჯეტით ვახერხებთ მეტ -ნაკლებად შესრულებას, ვინაიდან ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული/

კომუნალური მომსახურეობა და კეთილმოწყობის დირექტორმა ვ. ლიპარტელიანმა წარმოადგინა 2026 წლის გეგმა პროგრამის პროექტი 524.6 ათ. ლარით. 2025 წლის ბიუჯეტთან შედარებით გეგმა გაზრდილია 38,6 ათ. ლარით. ძირითადად გაზრდილია შრომის ანაზღაურების ფონდი.

პროგრამით ძირითადად ხორციელდება დაბის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება და საყოველთაო ნარჩენების გატანა. ამჟამად დასუფთავების სერვისი მიეწოდება მუნიციპალიტეტის 7 თემს. რაც შეეხება სოფლებს სადაც მიუვალი გზებია და ვერ ხერხდება კონტეინერების განთავსება საჭიროა მაღალი გამავლობის თვითმცლელი ტრანსპორტის შეძენა იმისათვის რომ საბოლოოდ დაიხუროს სტიქიური ნაგავსაყრელები. ნაგვის კონტეინერების რაოდენობა არასაკმარისია რადგანაც უმრავლესობა მოძველებულია და უვარგისია. აუცილებელია მეტი ყურადღება და ფინანსურად დახმარება რათა აღმოიფხვრას ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებები.

კომისიის მიერ განხილული იქნა ზემოთ ჩამოთვლილი ყველა გეგმა-პროგრამების პროექტები და გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

სხდომა დასრულდა დღის 13 სთ-ზე.

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე: /ე. ლიპარტელიანი/

ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე: /დ. ფურელიანი/